დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ შეგროვებული
საავტორო ჰონორარის განაწილებისა და გადახდის წესის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მიზანი და მოქმედების სფერო

1. შეგროვებული საავტორო ჰონორარის განაწილებისა და გადახდის წესის შესახებ დებულება შემუშავებულია ააიპ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძელზე.
2. დებულების ნორმები არეგულირებს ასოციაციის მიერ შეგროვებული საავტორო ჰონორარის განაწილების მექანიზმებს და გადახდის პროცედურას.

მუხლი 2. კომპეტენცია

1. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის, როგორც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საავტორო უფლებათა მფლობელების სახელით მოსარგებლეებლებთან სალიცენზიო შეთანხმებების გაფორმება, საავტორო ჰონორარის შეგროვება, მათი განაწილება და შესაბამისი უფლების მფლობელებისთვის გადახდა. ასოციაცია საავტორო ჰონორარს აგროვებს ყველა კატეგორიის უფლების მფლობელისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია, წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კოლექტიური წესით მართავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ, ნაწარმოების ავტორის ქონებრივ უფლებებს.
3. ასოციაციას გაფორმებული აქვს ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებები საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან, რის საფუძველზეც ენიჭება უფლება საქართველოს ტერიტორიაზე წარმოადგინოს უცხოური რეპერტუარი, უცხოური ნაწარმოებების გამოყენებისათვის გასცეს ლიცენზიები, შეაგროვოს და გაანაწილოს ჰონორარი და გადაუხადოს საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებს. დებულებით ასევე რეგულირდება საზღვარგარეთ შეგროვებული, ასოციაციის წევრი ავტორების კუთვნილი ჰონორარის განაწილება და გადახდა.

თავი II

საავტორო უფლების რეგისტრაცია და განაწილების პროპორციები

მუხლი 3. ნაწარმოებზე უფლების რეგისტრაცია

1. წევრობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ასოციაციის წევრი იღებს ვალდებულებას საავტორო უფლებათა ასოციაციაში დაარეგისტრიროს საკუთარი საავტორო უფლება ნაწარმოებ(ებ)ზე, ასოციაციის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
2. ნაწარმოებზე რამდენიმე საავტორო უფლების მფლობელის არსებობისას, თუ მათი უფლებრივი წილები განსხვავდება ასოციაციის მიერ დადგენილი, საავტორო ჰონორარის განაწილების მარტივი პროპორციებისგან, ან არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც გასათვალისწინებელია რეგისტრაციის დროს, უფლების მფლობელები წარუდგენენ ასოციაციას აღნიშნულის დამადასტურებულ წერილობით დოკუმენტაციას, რა შემთხვევაშიც ნაწარმოებებზე უფლებები შეიძლება დარეგისტრირდეს ერთ-ერთი უფლების მფლობელის მიერაც.
3. საავტორო უფლებით დაცულ ორიგინალურ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების გადაცემის და/ან ამ ნაწარმოების გადამუშავების უფლებაზე ავტორის მხრიდან ნებართვის არსებობის შემთხვევაში, ასოციაციას წარედგინება ასეთი ნებართვის დამდასტურებელი, შესაბამისი მხარეების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი.
4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში ნებართვის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმეტაციის წარმოუდგენლობის დროს, ნაწარმოებზე უფლების რეგისტრაცია ხდება ასოციაციის მიერ დადგენილი, საავტორო ჰონორარის განაწილების მარტივი პროპორციების შესაბამისად.
5. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში წარმოდგენილ წერილობით დოკუმეტაციაში უფლებრივ წილებზე მონაცემების არარსებობის დროს, ნაწარმოებზე უფლების რეგისტრაცია ხდება ასოცაციის მიერ დადგენილი, საავტორო ჰონორარის განაწილების კომპლექსური პროპორციების შესაბამისად.
6. საავტორო უფლებით დაუცველი ნაწარმოების გადამუშავების ავტორის მიერ გადამუშავებაზე უფლება რეგისტრირდება ასოციაციის მიერ დადგენილი, საავტორო ჰონორარის განაწილების მარტივი პროპორციების შესაბამისად.
7. ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია ინტეგრირდება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში.
8. რეგისტრაციის მონაცემებში ნებისმიერი ცვლილება უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, შესაბამისი მხარეების მიერ.

9. მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაცია წარმოადგენს შეგროვებული საავტორო ჰონორარის განაწილების მთავარ საფუძველს.

მუხლი 4. განაწილების პროპორციები

1. საავტორო ჰონორარის განაწილებისთვის გამოიყენება ასოციაციის მიერ დადგენილი შემდეგი პროპორციები:

ნაწარმოების სახეები			
მუსიკალური ნაწარმოები			
მარტივი პროპორციები			
ორიგინალური ნაწარმოები	მუსიკის ავტორი 50%	ტექსტის ავტორი 50%	
ორიგინალური ან არანჟირებული დაუცველი ორიგინალური ნაწარმოები ტექსტის გარეშე ან დაუცველი ტექსტით	მუსიკის/არანჟირების ავტორი 100%		
ორიგინალური/ადაპტირებული დაუცველი ორიგინალური ნაწარმოები დაუცველი მუსიკით	ტექსტის/ადაპტაციის ავტორი 100%		
კომპლექსური პროპორციები			
არანჟირებული დაცული ორიგინალური ნაწარმოები	მუსიკის ავტორი 35%	ტექსტის ავტორი 50%	არანჟირების ავტორი 15%
არანჟირებული დაცული ორიგინალური ნაწარმოები ტექსტის გარეშე ან დაუცველი ტექსტით	მუსიკის ავტორი 70%	არანჟირების ავტორი 30%	
არანჟირებული დაუცველი ორიგინალური ნაწარმოები დაცული ტექსტით	ტექსტის ავტორი 50%	არანჟირების ავტორი 50%	
ადაპტირებული დაცული ორიგინალური ნაწარმოები	ტექსტის ავტორი 35%	მუსიკის ავტორი 50%	ადაპტაციის ავტორი 15%
ადაპტირებული დაცული ორიგინალური ნაწარმოები ტექსტის გარეშე ან დაუცველი ტექსტით	მუსიკის ავტორი 50%	ადაპტაციის ავტორი 50%	
ადაპტირებული დაუცველი ორიგინალური ნაწარმოები დაცული ტექსტით	ტექსტის ავტორი 70%	ადაპტაციის ავტორი 30%	
არანჟირებული და ადაპტირებული დაცული ორიგინალური ნაწარმოები დაუცველი ტექსტით	მუსიკის ავტორი 35%	არანჟირების ავტორი 15%	ადაპტაციის ავტორი 50%
არანჟირებული და ადაპტირებული დაუცველი ორიგინალური ნაწარმოები დაცული ტექსტით	ტექსტის ავტორი 35%	ადაპტაციის ავტორი 15%	არანჟირების ავტორი 50%
ლიტერატურული ნაწარმოები			
მარტივი პროპორციები			
ორიგინალური ნაწარმოები	ავტორ(ებ)ი 100%		
შედგენილი დაუცველი ორიგინალური და/ან გადამუშავებული ნაწარმოები	შედგენილი ნაწარმოების ავტორი 100%		
გადამუშავებული დაუცველი ორიგინალური და/ან შედგენილი ნაწარმოები	გადამუშავებული ნაწარმოების ავტორი 100%		
კომპლექსური პროპორციები			
შედგენილი და გადამუშავებული დაცული ორიგინალური ნაწარმოები	ორიგინალური ნაწარმოების ავტორი 50%	შედგენილი ნაწარმოების ავტორი 25%	გადამუშავებული ნაწარმოების ავტორი 25%
შედგენილი და გადამუშავებული დაუცველი ორიგინალური ნაწარმოები	შედგენილი ნაწარმოების ავტორი 50%	გადამუშავებული ნაწარმოების ავტორი 50%	

შედგენილი დაცული ორიგინალური ნაწარმოები დაუცველი გადამუშავებული ნაწარმოებით	ორიგინალური ნაწარმოების ავტორი 50%	შედგენილი ნაწარმოების ავტორი 50%
გადამუშავებული დაცული ორიგინალური ნაწარმოები დაუცველი შედგენილი ნაწარმოებით	ორიგინალური ნაწარმოების ავტორი 50%	გადამუშავებული ნაწარმოების ავტორი 50%
სახვითი ხელოვნების, ქორეოგრაფიული, ფოტოგრაფიული, არქიტექტორული, მონუმენტური და დიზაინერული ნაწარმოები		
მარტივი პროპორციები		
ორიგინალური ნაწარმოები	ნაწარმოების ავტორ(ებ)ი 100%	
გადამუშავებული დაუცველი ორიგინალური ნაწარმოები	გადამუშავებული ნაწარმოების ავტორ(ებ)ი 100%	
კომპლექსური პროპორციები		
გადამუშავებული დაცული ორიგინალური ნაწარმოები	ორიგინალური ნაწარმოების ავტორი 50%	გადამუშავებული ნაწარმოების ავტორ(ებ)ი 50%
კინემატოგრაფიული და სხვა აუდიოვიზუალური ნაწარმოები		
მარტივი პროპორციები		

ორიგინალური ნაწარმოები	მუსიკის ავტორი 25%	სცენარის ავტორი 35%	რეჟისორი 40%

2. კინემატოგრაფიულ და სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში საავტორო უფლებით დაუცველი ნაწარმოებ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, ასეთი ნაწარმოებ(ებ)ის კუთვნილი საავტორო ჰონორარი გადანაწილდება სხვა თანაავტორ(ებ)ზე თანაბარი პროპორციით.
3. დრამატული ნაწარმოებების გამოყენებიდან შეგროვებული საავტორო ჰონორარის განაწილდება ხდება ასეთი ნაწარმოებების საჯარო შესრულებისთვის დადგენილი საავტორო ჰონორარის განაკვეთების პროპორციების შესაბამისად.

თავი III

განაწილების წესი და გადახდა

მუხლი 5. ზოგადი წესები

1. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია შეგროვებულ საავტორო ჰონორარს ანაწილებს მოსარგებლეთა მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.
2. ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს მონაცემებს მათი რაოდენობის, მოცულობის, დასახელების, მათზე საავტორო უფლებათა მფლობელების, შემსრულებლების და თითოეული ნაწარმოების შესრულების რაოდენობის შესახებ. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მთხოვნილ იქნას, საავტორო ჰონორარის განაწილებისათვის აუცილებელი, დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენაც.
3. ჰონორარის განაწილებისთვის აუცილებელი, ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის ასოციაციისთვის მიწოდება წარმოადგენს მოსარგებლის კანონისმიერ ვალდებულებას, რომელიც ასევე განსაზღვრულია სალიცენზიო შეთანხმებით. ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა შემუშავებულია ასოციაციის მიერ და შეთანხმებულია მოსარგებლესთან. ინფორმაციის წარმოდგენის პერიოდულობა განისაზღვრება სალიცენზიო პირობებით.
4. გამოყენებული ნაწარმოებების რაოდენობის, მოცულობის, დასახელების, მათზე საავტორო უფლებათა მფლობელების, შემსრულებლების და თითოეული ნაწარმოების შესრულების რაოდენობის შემცველი ინფორმაციის საფუძველზე საავტორო ჰონორარის განაწილება ხორციელდება შემდეგი წესით: თითოეული ასეთი ინფორმაციის შესაბამისი საავტორო ჰონორარის ოდენობა იყოფა ნაწარმოებების შესრულების მთლიან რაოდენობაზე, მოცულობაზე, რითაც დგინდება ერთი ნაწარმოების ღირებულება, რაც შემდეგ მრავლდება ცალკეული ნაწარმოების შესრულების რაოდენობაზე და განისაზღვრება ამ ნაწარმოების კუთვნილი საავტორო ჰონორარის ოდენობა.
5. მხოლოდ ნაწარმოებების რაოდენობის, მოცულობის, დასახელების, მათზე საავტორო უფლებათა მფლობელების და შემსრულებლების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე საავტორო ჰონორარის განაწილება ხორციელდება ნაწარმოებების რაოდენობის პროპორციულად შემდეგი წესით: ასეთი ინფორმაციის შესაბამისი

საავტორო ჰონორარის ოდენობა იყოფა ნაწარმოებების რაოდენობაზე, მოცულობაზე, რითაც დგინდება თითოეული ნაწარმოების კუთვნილი საავტორო ჰონორარის ოდენობა.

6. თუ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა არ არის აუცილებელი საავტორო ჰონორარის განაწილებისათვის, გადახდილი ჰონორარის განაწილება ხორციელდება სტატისტიკურად ვალიდური მოდელის გამოყენებით - ე.წ. „კალათის პრინციპით “.
7. თუ, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა, ან არ ხდება ასეთი ინფორმაციის წარმოდგენა, ასევე, თუ წარმოდგენილ ინფორმაციაში არსებულ ნაწარმოებებზე ვერ ხერხდება საავტორო უფლების მფლობელთა იდენტიფიცირება, გადახდილი საავტორო ჰონორარი ითვლება საავტორო უფლების დაუდგენელი მფლობელების ნაწარმოებების ან დაცვის სხვა ობიექტების გამოყენებიდან შეგროვებულ საავტორო ჰონორარად და გამოიყენება საავტორო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
8. თუ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაცია შეიცავს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებზეც გასულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვის ვადა, გადახდილი საავტორო ჰონორარი ნაწილდება ამ ინფორმაციაში შემავალ დანარჩენ უფლების მფლობელებზე პროპორციულად.
9. საზღვარგარეთ შეგროვებული, ასოციაციის წევრი ავტორების კუთვნილი ჰონორარის განაწილება ხორციელდება საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
10. საავტორო ჰონორარის განაწილების შედეგად დგება საბოლოო დოკუმენტი, რომელიც გადახდებისთვის გადაეცემა ასოციაციის ფინანსურ სამსახურს.

მუხლი 6. კალათის პრინციპი

1. კალათის პრინციპით განაწილება გულისხმობს ე.წ. „ფონური მუსიკის“ (მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულება ტექნიკური საშუალებით, გარდა სასტუმროს ნომრებში ტექნიკური საშუალებით საჯარო შესრულებისა) გამოყენებიდან შეგროვებული საავტორო ჰონორარის განაწილებას ადგილობრივი რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესით: თავდაპირველად განისაზღვრება თითოეული რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ გადასახდელი საავტორო ჰონორარის ხვედრითი წილის პროცენტული ოდენობა ყველა რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ გადასახდელი საავტორო ჰონორარის ჯამურ ოდენობასთან მიმართებაში, რის შემდეგაც ე.წ. „ფონური მუსიკის“ გამოყენებიდან შეგროვებული საავტორო ჰონორარის ჯამური ოდენობა იყოფა განსაზღვრული ხვედრითი წილის პროპორციულად და ნაწილდება რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად, მათ მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. (ცვლილება 30.07.2018)
2. კალათის პრინციპით ჰონორარი ნაწილდება თითოეული რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, განაწილების დროისათვის ცალკეული რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ ასოციაციისათვის ჰონორარის გადახდის მიუხედავად. (ცვლილება 30.07.2018)

მუხლი 7. ცოცხალი შესრულება

1. ცოცხალი შესრულების შემთხვევაში, საავტორო ჰონორარის განაწილება ხორციელდება მოსარგებლეთა მიერ, ნაწარმოებების რაოდენობის, დასახელების, მათზე საავტორო უფლებათა მფლობელების და შემსრულებლების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესით: ასეთი ინფორმაციის შესაბამისი საავტორო ჰონორარის ოდენობა იყოფა ნაწარმოებების რაოდენობაზე, რითაც დგინდება თითოეული ნაწარმოების კუთვნილი საავტორო ჰონორარის ოდენობა.
2. რესტორნებში, კაფეებში, ბარებში, საბანკეტო დარბაზებსა და სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულებებში ცოცხალი შესრულების დროს მოსარგებლეთა მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის დადგენილ ვადაში ზედიზედ ორჯერ წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მათ მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილება შეიძლება განხორციელდეს ამავე სეგმენტის სხვა მოსარგებლეთა მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად, მათ მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. (ცვლილება 15.10.2014)

მუხლი 8. რადიოსამაუწყებლო ორგანიზაცია

1. რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ მუსიკალური ნაწარმოებების რადიოეთერში საჯარო გადაცემისათვის გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილება ხორციელდება მათ მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესით: თითოეული რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის ოდენობა იყოფა ამავე ორგანიზაციის ეთერში საჯაროდ გადაცემული მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების მთლიან რაოდენობაზე, რითაც დგინდება ერთი ნაწარმოების

ღირებულება, რაც შემდეგ მრავლდება ცალკეული ნაწარმოების შესრულების რაოდენობაზე და განისაზღვრება ამ ნაწარმოების კუთვნილი საავტორო ჰონორარის ოდენობა.

2. რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის დადგენილ ვადაში ზედიზედ ორჯერ წარმოუდგენლობის დროს, მათ მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილება შეიძლება განხორციელდეს ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის წარმომდგენი დანარჩენი რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესით: თავდაპირველად განისაზღვრება ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის წარმომდგენი თითოეული რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის ხვედრითი წილის პროცენტული ოდენობა ყველა ასეთი რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის ჯამურ ოდენობასთან მიმართებაში, რის შემდეგაც გასანაწილებელი საავტორო ჰონორარის ჯამური ოდენობა იყოფა განსაზღვრული ხვედრითი წილის პროპორციულად და ნაწილდება ინფორმაციის წარმომდგენი რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად, მათ მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. (ცვლილება 15.10.2014)

3. ამ მუხლში მითითებული წესები ვრცელდება ინტერნეტ რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციებზეც. (ცვლილება 15.10.2014)

მუხლი 9. ტელესამაუწყებლო ორგანიზაცია

1. ტელესამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ მუსიკალური ნაწარმოებების ეთერში პირველადი საჯარო გადაცემისათვის გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილება ხორციელდება მათ მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესით: თითოეული სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში გადახდილი საავტორო ჰონორარის ოდენობა იყოფა ამავე ორგანიზაციის ეთერში, ამავე პერიოდში გადაცემული მუსიკალური ნაწარმოებების წუთების საერთო რაოდენობაზე, რითაც დგინდება ნაწარმოების ერთი წუთის ღირებულება, რაც შემდეგ მრავლდება ცალკეული ნაწარმოების ხანგრძლივობაზე და განისაზღვრება ამ ნაწარმოების კუთვნილი საავტორო ჰონორარის ოდენობა.

2. ტელესამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის დადგენილ ვადაში ზედიზედ ორჯერ წარმოუდგენლობის დროს, მათ მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილება შეიძლება გახორციელდეს ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის წარმომდგენი დანარჩენი ტელესამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესით: თავდაპირველად განისაზღვრება ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის წარმომდგენი თითოეული ტელესამაუწყებლო ორგანიზაციის ყურებადობის რეიტინგის პროცენტული მაჩვენებელი ყველა ასეთი ტელესამაუწყებლო ორგანიზაციის რეიტინგის მაჩვენებელთან მიმართებაში, რის შემდეგაც გასანაწილებელი საავტორო ჰონორარის ჯამური ოდენობა იყოფა განსაზღვრული ხვედრითი წილის პროპორციულად და ნაწილდება ინფორმაციის წარმომდგენი ტელესამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად, მათ მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. (ცვლილება 05.04.2017)

3. ამ მუხლში მითითებული წესები ვრცელდება ინტერნეტ სამაუწყებლო ორგანიზაციებზეც. (ცვლილება 15.10.2014)

მუხლი 10. სატრანზიტო ოპერატორი

1. სატრანზიტო ოპერატორების მიერ სადენით და/ან უმავთულო კავშირგაბმულობის საშუალებით ხელახალი გადაცემისათვის გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილება ხორციელდება მათ მიერ გადაცემული ტელესამაუწყებლო არხების ყურებადობის რეიტინგების მიხედვით შემდეგი წესით: იმ ტელესამაუწყებლო არხების ხელახალი გადაცემისათვის შეგროვებული ჰონორარი, რომლის ყურებადობის რეიტინგიც ტოლია ან აღემატება 0.1%-ს, ნაწილდება რეიტინგში არსებული ამ არხის კუთვნილი პროცენტის პროპორციულად, ხოლო 0.1%-ს ქვემოთ რეიტინგის მქონე არხების ხელახალი გადაცემისათვის შეგროვებული ჰონორარი იყოფა თანაბრად ასეთი არხების რაოდენობაზე. (ცვლილება 16.09.2016)

2. უცხოური ტელესამაუწყებლო არხების კუთვნილი საავტორო ჰონორარი ნაწილდება საზღვარგარეთის ქვეყნების იმ კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებზე, რომლებიც გასცემენ ლიცენზიებს ამ ტელესამაუწყებლო არხებში გამოყენებული ნაწარმოებების პირველადი საჯარო გადაცემისათვის.

3. ადგილობრივი ტელესამაუწყებლო არხების კუთვნილი საავტორო ჰონორარი ნაწილდება ასეთი ტელესამაუწყებლო არხების მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილებისთვის დადგენილი წესის მიხედვით, მათ მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

4. სატრანზიტო ოპერატორების მიერ გადახდილი, ნებართვის გარეშე მოქმედი ადგილობრივი ტელესამაუწყებლო ორგანიზაციების მიხედვით გასანაწილებელი საავტორო ჰონორარის განაწილება ხორციელდება ასოციაციის ლიცენზიის მქონე ტელესამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად. (ცვლილება 16.09.2016)

5. ამ მუხლში მითითებული წესები ვრცელდება ინტერნეტის საშუალებით განხორციელებულ ხელახალ გადაცემასა და მუსიკალური ნაწარმოებების სასტუმროს ნომრებში ტექნიკური საშუალებით საჯაროდ შესრულებისათვის გადახდილი ჰონორარის განაწილებაზეც. (ცვლილება 05.04.2017)

მუხლი 10[1] ინტერაქტიული სტრიმინგი

1. მუსიკალური ნაწარმოებების ინტერაქტიული სახით საჯარო გადაცემისათვის გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილება მოსარგებლეთა მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შესაძლებელია საჯაროდ გადაცემული ნაწარმოებების სახეების შესაბამისად შემდეგი წესით: აუდიო ჩანაწერის სახით საჯაროდ გადაცემული ნაწარმოებებისათვის გადახდილი საავტორო ჰონორარი ნაწილდება რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, მათ მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ვიდეო ჩანაწერის სახით საჯაროდ გადაცემული ნაწარმოებებისათვის გადახდილი საავტორო ჰონორარი ნაწილდება ტელესამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად, მათ მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. (ცვლილება 15.10.2014)

მუხლი 11. განაწილების ვადები

1. ადგილობრივ რეპერტუარზე ჰონორარის განაწილება ხორციელდება სამი, ხოლო საზღვარგარეთის რეპერტუარზე - ექვსი თვის ვადაში, მოსარგებლეთა მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენისა და ჰონორარის გადახდიდან. (ცვლილება 20.02.2019)
2. მოსარგებლეთა მიერ ნაწარმოებების გამოყენების შესახებ ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის დროს, მათ მიერ გადახდილი საავტორო ჰონორარის განაწილება ჩერდება ამ ინფორმაციის წარმოდგენამდე, გარდა მე-7 მუხლის მეორე ნაწილით, მე-8 მუხლის მეორე ნაწილით და მე-9 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (ცვლილება 15.10.2014)
3. წარმოდგენილი ინფორმაციის დიდი მოცულობისა და/ან მისი დამუშავების სირთულის შემთხვევაში, განაწილების ვადები შეიძლება გაიზარდოს ასეთი ინფორმაციის დამუშავებისთვის აუცილებელი დროით.

მუხლი 12. დაქვითვა

1. შეგროვებული საავტორო ჰონორარიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება მის შეგროვებაზე, განაწილებასა და გადახდაზე დახარჯული თანხების დაქვითვა, ასევე საავტორო უფლების დაუდგენელი მფლობელების ნაწარმოებების ან დაცვის სხვა ობიექტების გამოყენებიდან შეგროვებული საავტორო ჰონორარის გამოყენება, რაც წარმოადგენს ასოციაციის შემოსავალს და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ადმინისტრაციული ხარჯის დაფარვის წყაროს.
2. დაქვითვის ოდენობები დადგენილია ნაწარმოების გამოყენების სახეობების მიხედვით ასოციაციის გამგეობის მიერ, წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ნაწარმოების გამოყენების სახე	დაქვითვის ოდენობა
ლიტერატურული ნაწარმოების გამოცემა/რეპროდუცირება	10%
დრამატული ნაწარმოების საჯარო შესრულება	15%
აუდიოვიზუალური (კინემატოგრაფიული) ნაწარმოების საჯარო გადაცემა	15%
ყველა სხვა	20%

3. საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ხარჯის დაფარვის მიზნით, ასოციაციას უფლება აქვს გამოიყენოს შეგროვებული და გასანაწილებელი საავტორო ჰონორარის თანხები და გადაფაროს იგი მომავალში შეგროვებული საავტორო ჰონორარიდან დაქვითული თანხებით.
4. საზღვარგარეთის ქვეყნების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეპერტუარის გამოყენებისათვის დაქვითვის ოდენობები განისაზღვრება ასეთ ორგანიზაციებთან არსებული ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებებით დადგენილი წესის შესაბამისად. (ცვლილება 20.02.2019)

მუხლი 13. გადახდა

1. ასოციაციის ფინანსური სამსახური, საავტორო ჰონორარის განაწილების შესახებ საბოლოო დოკუმენტის მიღების შემდეგ, ახდენს ინფორმაციის სისტემატიზაციას მისი კუთვნილების შესაბამისად. საავტორო ჰონორარის

საბოლოო ოდენობის ფორმირება ხდება ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით და იბეგრება შესაბამისი გადასახადებით. სახელმწიფო გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი საავტორო ჰონორარი ერიცხება ადგილობრივ და უცხოელ საავტორო უფლების მფლობელებს. (ცვლილება 20.02.2019)

2. ადგილობრივ რეპერტუარზე საავტორო ჰონორარის გადახდა ხორციელდება ჰონორარის განაწილების შესახებ საბოლოო დოკუმენტის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. (ცვლილება 20.02.2019)
3. ადგილობრივ რეპერტუარზე შეგროვებული საავტორო ჰონორარი, რომლის ოდენობაც საანგარიშო პერიოდში არ აღემატება 100 (ასი) ლარს, შესაძლებელია არ იქნას გადახდილი აღნიშნული ოდენობის მიღწევამდე. (ცვლილება 20.02.2019)
4. უცხოურ რეპერტუარზე საავტორო ჰონორარის გადახდა, როგორც წესი, ხორციელდება წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 დეკემბრისა. (ცვლილება 20.02.2019)
5. უცხოურ რეპერტუარზე შეგროვებული საავტორო ჰონორარი, რომლის ოდენობაც საანგარიშო პერიოდში არ აღემატება 500 (ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, შესაძლებელია არ იქნას გადახდილი აღნიშნული ოდენობის მიღწევამდე. (ცვლილება 20.02.2019)
6. როდესაც ნაწარმოებების გამოყენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე იდენტიფიცირებულ უფლების მფლობელთა კუთვნილი საავტორო ჰონორარი ჯერ კიდევ არ არის მოსარგებლეთა მიერ გადახდილი და/ან ამ ჰონორარის განაწილება არ არის დასრულებული, შესაძლებელია განხორციელდეს ასეთი ჰონორარის სავარაუდო ოდენობის ავანსის სახით გადახდა, რომელიც გადაიფარება მომავალში გადასახდელი ჰონორარიდან. (ცვლილება 20.02.2019)
7. ადგილობრივ, წევრ საავტორო უფლების მფლობელებზე გადახდა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში, ხოლო არაწევრ უფლების მფლობელებზე, მათი განცხადების საფუძველზე.
8. საზღვარგარეთ გადასახდელი საავტორო ჰონორარი იბეგრება საქართველოს კანონმდებლობით არარეზიდენტი პირისათვის დადგენილი გადასახადით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორგანიზაცია, სარგებლობს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი შეღავათებით.

თავი IV

დამატებითი საკითხები

მუხლი 14. გამჭვირვალობა

1. ასოციაციის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის მიზნით გამოიცემა დეტალური წლიური ანგარიში ბეჭდური სახით, რომელიც გადაეცემათ ასოციაციის წევრებს და ასევე ელექტრონული სახით თავსდება ასოციაციის ვებ გვერდზე.
2. საავტორო ჰონორარის განაწილებასთან და გადახდასთან დაკავშირებული ინფორმაცია აისახება და ინახება ასოციაციის წევრებისთვის სპეციალურად შექმნილ ინდივიდუალურ ონლაინ ბარათებზე. ბარათი ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებ გვერდის საშუალებით, პერსონალური სახელისა და პაროლის გამოყენებით.
3. ასოციაციის საქმიანობის ანგარიში ყოველწლიურად ეგზავნება საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციებს, ასევე წარედგინება ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს - საქპატენტს.

მუხლი 15. საჩივრები და დავები

1. დავის არსებობის შემთხვევაში, ასოციაცია იტოვებს უფლებას დროებით შეაჩეროს საავტორო ჰონორარის განაწილება და გადახდა. შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავა ეხება კონკრეტულ საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებს და ასოციაცია ამის შესახებ ინფორმირებულია.
2. ასოციაცია თავს იკავებს დავებში ნებისმიერი ჩარევისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც დადგენილია ასოციაციის წესდებით.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაში შედის მის მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. განაწილებისა და გადახდის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, რეგულირდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებებით.
3. დებულება, მისი მიღებიდან ორი კვირის ვადაში, უნდა განთავსდეს ასოციაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ან ნებისმიერი სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ასოციაციის წევრებისთვის.

დამტკიცებულია ასოციაციის გამგეობის მიერ 01.08.2011 წელს